# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 3 | კვირა, 26 აგვისტო, 1901 წ | გაზეთის № 1564.



მეფე ერეკლე მე-II.



მეფე გიორგი მე-XIII.



დავით ბაგრატიონშვილი,

# მოხუცი მილონი

გიუ-დე მოპასანისა

აგერ, თითქმის ერთი თვეა, რაც მზემ თავისი ცხოველი სხივები მინდორ-ველს მოჰფინა. ყველას სიცოცხლე ჩაუდგა ამ სხივებმა, ყველა გამოაღვიძა, ყოველი კუთხე და ადგილი მწვანით შემოსა. უღრუბლო, ლაჟვარდი ცა კიდით-კიდემდე გაბრწყინვებულა. ნორმანიის ფერმები, ველ ზედ გადაშლილნი და სარტყელივით გარს ხეებით შემოვლებულნი, შორიდან პატარა ტყეებად მოსჩანან, ახლო კი, როდესაც ნახევრად დაქცეულს ლობის კარს გააღებთ, ისეთი მშვენიერი სურათი გეშლებათ თვალ წინ, თითქოს უზარ-მაზარი ბაღიაო, რადგანაც დიდრონი ვაშლის ხეები ყვავილებითაა შემოსილი. ეს გაშავებული, დაგრეხილ-მოკაკული და ეზოში მწკრივად ჩარიგებული ხეები ცისკენ აყუდებულან და იქ მშვენიერი, თეთრად გადაშლილ ყვავილების გუმბათი შეუკრავთ. ამ ყვავილების მშვენიერს სუნს ერევა მწვავე სუნი კარ-გაღებულ ბოსლებისა და ოშხივარი დამპალ პატივისა, რომელსაც ქათმები არხეინად ჰქექენ.

შუადღეა. მთელი ოჯახი დიდი მსხლის ხის ქვეშ შეგროვილა: მამა, დედა, ოთხი შვილი, ორი მოახლე და სამიც მოსამსახურე. ყველანი ჩუმად შეექცევიან წვენს; მალე მეორე თავიც მოიმარჯვეს, ღორის ქონში მოხრაკული გემრიელი კართოფილი.

დრო-გამოშვებით ერთი მოსამსახურე დგება, მიდის მარანში და ქურჭელს ღვინით ავსებს.

ქმარი, მაღალის ტანისა, 49 წლის კაცი, გაჩუმებული უცქერის გველივით დახლაკნილს, სახლის კედლებზედ შესულს, უფოთლო ვაზს.

ბოლოს სიჩუმე დაარღვია და სთქვა:

„მამი ჩემის ვაზს წლეულს ადრე ამოსდის ყლორტები. ვინ იცის, იქნება რამე ნაყოფიც გამოიღოს“.

ცოლმა პირი მიიბრუნა და, მდუმარემ, ცქერა დაუწყო ვაზს.

ვაზი სწორედ იქ იყო დარგული, სადაც მისი ქმრის მამა დახვრიტეს.

*
* *

ეს ამბავი **1870** წლის ომიანობის დროს მოხდა. პრუსიელებს მთელი საფრანგეთი ეჭირათ. გენერალი ფედერბი ჩრდილოეთის ჯარით არ ემორჩილებოდა მათ.

პრუსიის მთავარი შტაბი სწორედ ამ ფერმაში დაბანაკდა. მოხუცმა გლეხმა, რომელსაც ეს ფერმა ეკუთვნოდა, პიერ მილონმა, რაც-კი შეეძლო კარგად მიიღო უცხო სტუმრები.

თითქმის ერთი თვე იქნებოდა, რაც გერმანელების მოწინავე ჯარი სოფელში იყო დაბანაკებული. ფრანგები ათის მილის მანძილზედ იყვნენ, მაგრამ, ამისდა მიუხედავათ, თითქმის ყოველ ღამე რამდენიმე ჯარის-კაცი იკარგებოდა უგზო უკვლოდ.



**მეორე ფასადი თ.-აზ. სკოლის შენობისა.**

მზვერავნი, რომელთაც მიდამოების დასათვალიერებლათ ჰგზავნიდნენ, თუ კი ორ-სამ კაცზედ მეტი არ მიდიოდა, არასოდეს უკან აღარა ბრუნდებოდნენ.

მოკლულ მზვერავთა გვამებს დილით ხან მინდორში ნახავდნენ ხოლმე, ხან რომელსამე ეზოსთან, ხან კიდევ ხევში. იმათი ცხენებიც გზის იქით-აქეთ ეყარნენ ხმლით აკუწულნი.

როგორც სჩანდა, ეს მკვლელობანი ერთისა და იმავე კაცებისაგან ხდებოდა, მაგრამ მკვლელები ვერსად ვერ ეპოვნათ.



**გამოფენა.**

სასტიკი ზომები მიიღეს ამ მკვლელობათა გამო: გლეხებს ხვრეტდნენ უბრალო დაბეზღების შემდეგ; საპყრობილეში აპატიმრებდნენ, დედაკაცებსა და ბავშვებს აშინებდნენ, იქნება წამოსცდეთ რამეო. მაგრამ გაგებით მაინც ვერაფერი გაიგეს.

ერთს დილას მილონი თავისს თავლაში გართხობილი ნახეს, მოხუცს სახე ხმლითა ჰქონდა გაჩეხილი.

ფერმიდან სამის კილომეტრის მანძილზედ იპოვნეს ორი მუცელ-გაპობილი ჯარის-კაცი. ერთს ხელში ჯერ ისევ სისხლში ამოსვრილი ხმალი ეჭირა: ეტყობოდა მტერს იგერებდა.

იმ წამსვე სამხედრო თათბირი გაიმართა ფერმის წინ მოხუციც იქ მიიყვანეს.

მოხუცი სამოცდა რვა წლისა იყო, დაბალის ტანისა, გამხდარი, ოდნავ წელში მოხრილი; იმის თხელ ბუმბულივით რბილ თმაში თავის კანი მოსჩანდა. შავგრემან და დანაოჭებულ კისერზედ თითის სიმსხო ძარღვები მოუჩანდა; ეს ძარღვები ყბის ქვეშ იმალებოდნენ და საფეთქელზედ ხელ-ახლა ჩნდებოდნენ. მოხუცს ახლო-მახლო სოფლებში ძუნწის და უკმეხი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

მილონი ეზოში დადგმულ მაგიდასთან დააყენეს, გარს ოთხი ჯარის-კაცი შემოახვიეს; ხუთი ოფიცერი და პოლკოვნიკი კიდევ იმის პირდაპირ დასხდნენ.

პოლკოვნიკმა ფრანგულად დაიწყო სიტყვა:

— პიერ მილონ! მას შემდეგ, რაც ჩვენ აქა ვართ, კარგის მეტი არაფერი გვეთქმის თქვენზედ. ყოველთვის თავაზიანი იყავით, ზოგჯერ გვაფრთხილებდით კიდეც. მაგრამ დღეს საშინელი ბრალი გედებათ და საჭიროა ეს საქმე გამოირკვეს. სად და როდის დაგჭრეს სახეში?

გლეხმა არაფერი უპასუხა.

პოლკოვნიკმა განაგრძო:

— თქვენი სიჩუმე, პიერ მილონ, თქვენვე გდებთ ბრალს. მე მსურს პასუხი მოჰიგოთ, გესმით თუ არა? იცით, თუ არა, ვინ მოჰკლა ის ორი ჯარის-კაცი, რომელთა გვარებიც დღეს ჯვრიან გორაკთან იპოვნეს?

მოხუცმა მკაფიოთ წარმოსთქვა:

— მე მოვკალი.

თვალ-დაშტერებული პოლკოვნიკი ერთს წუთს გაჩუმდა. მოხუცი მილონი კი უწინდელებრ უგრძნობელი იდგა, თვალებ დაშვებული, თითქოს მღვდელს აღსარებას ეუბნებაო. ერთი რამ ამჟღავნებდა მხოლოდ იმის მღელვარებას: მოხუცი წამ და

უწუმ ნერწყვსა ჰყლაპავდა, ძალ-დატანებით, თითქოს ყელში გაეჩხირა რამეო.

მოხუცის ოჯახის წევრნი, შვილი ქანი, რძალი და ორი პატარა ბავშვი, იქვე ორ ნაბიჯზე შეშინებულნი, გაკვირვებულნი და გონება დაბნეულნი იდგნენ.

პოლკოვნიკმა განაგრძო

— იცით თუ არა ისიც, ვინ მოჰკლა ჩვენი ჯარის მზვერავნი, რომელთა გვამებსაც ეს ერთი თვეა ხან სად ხედავენ და ხან სად?

მოხუცმა იმავე პირუტყვულის უგრძნობლობით მიუგო:

— მე.

— თქვენ მოჰკალით ყველა ისინი?

— დიახ, ყველანი მე მოვკალი.

— თქვენ, მარტომა?

— მარტომ.

—მითხარით, როგორ შვრებოდით მაგას?

ეხლა კი მოხუცი აღელდა, როგორც ეტყობოდა, აწუხებდა ხანგრძლივ ლაპარაკის აუცილებლობა. ბოლოს წაილაპარაკა.

— აბა რა ვიცი? როგორც შემხვდებოდა, ისე ვმოქმედებდი.

პოლკოვნიკმა განაგრძო:

— წინ და წინვე გაფრთხილებთ: საჭიროა ყველაფერი გვიამბოთ. ამიტომ უკეთესია ერთბაშად გადასწყვიტოთ. როგორ დაიწყეთ საქმე?

მოხუცმა შეწუხებულის თვალებით გადახედა ცოლსა და შვილებს, რომელნიც უკან იდგნენ და სულ-განაბულნი ყველაფერს ყურს უგდებდნენ. მოხუცი ერთ წუთს კიდევ შეყოყმანდა, და შემდეგ მოულოდნელად დაიწყო:



აინო. ქანდაკება ტაკანენისა.

— მეორე დღეს, თქვენ რომ აქ დაბინავდით, საღამოთი, ასე ათ საათზე, შინ მოვდიოდი. თქვენ და მერე თქვენმა ჯარის-კაცებმა ბევრად იმაზედ მეტი საქონლის საკვები გამომართვით, რაც ფული მომეცით; ამას გარდა წაიყვანეთ ძროხა და ორიც ხვარი. მეც ვიფიქრე: დეე წაიღონ ჩემი ქონება, სამაგიეროს როგორმე გადავუხდი-მეთქი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამას გარდა სხვა ჯავრიც მაწვა გულზედ. აი სწორეთ ამ დროს დავინახე ერთი თქვენი მეომართაგანი, რომელიც ჩემ კალოს უკან თხრილზედ იჯდა და ჩიბუხს სწევდა. იმ წამსვე გავწიე, ჩამოვიღე ცული, უკანიდან მივეპარე და უეცრად მოვკვეთე თავი, როგორც პურის თავთავს, ასე რომ ამოსუნთქვაც კი ვერ მოასწრო. თუ გაირჯებით და დაათვალიერებთ წყლის სადენ ორმოს, ძირში უეჭველად იპოვნით იმის გვამს ნახშირის ტომარაში გახვეულს, რომელსაც ყორედან აღებული დიდი ქვა აბია. მე ჩემი მოსაზრებანი მქონდა; გავხადე მთლად ტანისამოსი ფეხსაცმელიდან დაწყებული ქუდამდე და გიბრის დასაწვავ ღუმელში დავმალე, მარტინის ტყეში, ეზოს უკან.

მოხუცი გაჩუმდა. გაოცებული აფიცრები ერთმანეთს შეჰყურებდნენ. ჩვენების ჩამორთმევა განაგრძეს, და აი რა შეიტყეს.

ოლბეჟ

(შემდეგი იქნება)

# ნარევი და გასართობი

გაზეთი-ტელეფონი. ბუდა-პეშტი ერთად ერთი ქალაქია დედა-მიწის ზურგზე, სადაც არსებობს ტელეფონი-გაზეთი. ყოველ დღე გაზეთის რედაქცია ტელეფონით გადასცემს ხელის მომწერთ მეთაურ წერილებს, ახალ ამბებს, დეპეშებს, ფელეტონებს და სხვა, ერთი სიტყვით, გაზეთის ყველა განყოფილებას. გარდა ამისა გაზეთს თავისებური დამატებაც აქვს: ხელის მომწერს შეუძლია მთელი კონცერტი მოისმინოს ტელეფონითვე. გაზეთი «Natur» სწერს, რომ ბუდა-პეშტის მცხოვრებთ მეტად მოსწონთ გაზეთი-ტელეფონი და სიამოვნებით იწერენ მას; ამასთანავე გაზეთი შედარებით იაფიც არის: სულ სამი ფრანკი ღირს თვეში. ხელის მომწერს საშუალება ეძლევა სახლიდგან არ გამოვიდეს და არა მარტო იცოდეს ყოველივე, რაც ხდება ბუდა-პეშტში და მთელს მსოფლიოში, არამედ ბუდა-პეშტის გასართობებშიაც მიიღოს მონაწილეობა. დილის 8 საათიდან ღამის 11 საათამდე რედაქცია ატყობინებს ხელის მომწერს ყოველივეს, რაც მისთვის საინტერესო იქნება. ხელის მომწერს ამასთანავე ნება აქვს მოსთხოვოს რედაქციას ყოველ გვარი მისთვის საჭირო ცნობები და ახალი ამბები. ყოველ ნახევარ საათში რედაქცია ატყობინებს მსურველს ბირჟის მდგომარეობას. სადამოობით ხელის მომწერი ატყობინებს რედაქციას — მსურს ესადა ეს კონცერტი ან ოპერა მოვისმინოო და სურვილი მაშინვე უსრულდება. ამ საქმის მოწყობას დიდი ხარჯი დასჭირდა, მაგრამ რედაქციას იმედი აქვს მომავალში ხარჯიც დაჰფაროს და მოგებაც ნახოს.



გამოფენა

*
* *

დავალიანებული მეფე. ინგლისის ახალი მეფე, ედუარდი, ძალიან დავალიანებული ყოფილა. ტახტის მემკვიდრე როცა იყო, მეტად ბევრს ხარჯავდა, ასე რომ ჯამაგირი და მამულების შემოსავალი არ ჰყოფნიდა. სულ ბანკებისა და კერძო პირების ჭმართებია 20 მილიონი ფრანკი. ახლა მეფეს გადაუწყვეტია 12 წლის განმავლობაში გადიხადოს სრულიად ეს ვალი და ამიტომ შესამჩნევად შეუმცირებია თავისი ხარჯი და ამასთანავე განუზრახავს თვით ადევნოს თვალ-ყური მამულების ექსპლუატაციას.



გამოფენა.

*
* *

ოხუნჯი მეთევზე. ტფილისელ კინტოს თევზი დააქვს გასასყიდად და გაჰყვირის: «ცოცხალი თევზი! აბა, კარგი თევზი»! ერთმა დარბაისელმა ქართველმა თავადმა დაუძახა: ამოდი აივანზე, მაჩვენე თევზიო. კინტოც ავიდა და თავადის წინ დადგა თაბახი. თავადი დააჩერდა თაბახს და, რა დაინახა, რომ თევზები წუნარად არიან, არ მოეწონა და დაეკითხა კინტოს:

— ბიჭო! როგორ გახუმებულან ეგ შენი თევზები?

— დალოცვილო, შიქასტა არ მისწავლებიათ მაგათთვის და აბა რა უნდა სთქვანო! მიუგო კინტომ.

# სურათების განმარტება

კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის სურათები უკვე დაისტამბა ჩვენს დამატებაში; აქ ვბეჭდავთ კიდევ სამს სურათს, რომელნიც აგრეთვე ზევიდან არიან გადაღებული და გვაჩვენებენ გამოფენის შუაგულსა და დასავლეთ მხარეებს.

*
* *

სათავად-აზნაურო სკოლის მომავალი შენობის ერთი ფასადი დამატების წარსულ №-ში იყო მოთავსებული; ამ №-ში იბეჭდება მეორე ფასადი ამ შენობისა; ამ ფასადს საქართველოს სამხედრო გზისკენ ექნება პირი.

*
* *

პორტრეტები. გაზეთ «ცნ. ფ.»-ში ჩვენ დავიწყეთ ბეჭდვა, ისტორიულის ცნობებისა და მასალისა, რომელნიც შეეხებიან საქართველოს რუსეთთან შეერთების ხანას. დამატებაში ჩვენ განვიზრახეთ მოვათავსოთ პორტრეტები ჩვენის უკანასკნელის მეფეებისა, მათის შვილების და ნათესავებისა და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა, რომელთაც კავშირი აქვთ ხსენებულ ხანასთან. ჯერ-ჯერობით ვბეჭდავთ ირაკლი მეორის, გიორგი მეთორმეტის და დავით გიორგის ძის (ტახტის მემკვიდრის) პორტრეტებს.

*
* *

აინო. ქანდაკება «აინო» გაკეთებულია ფინლიანდიის ცნობილის მექანდაკის ტაკანენისაგან. აინო ქალის სახელია; ასე ჰქვიან ფინლიანდიის შესანიშნავ ძველის ხალხურ პოემის «კალევალა»-ს ერთ-ერთ გმირს.

რედაქტორი:
ალ. ჭყონია

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი



ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.